ლიზი გუგეშაშვილი

02/07/2004

სკოლა: **კავკასიის ბიზნესის სკოლა**

პროგრამა: **ბიზნესის ადმინისტრირება**

კურსი: **II**

CU ელ.ფოსტა: **L_GUGESHASHVILI1@CU.EDU.GE**

ჩემს შესახებ

CU-ში მოხვედრა ჩემი ერთ-ერთი მიზანი და გეგმა იყო, რომელიც დიდი შრომის შედეგად რეალობად ვაქციე. ამჟამად ვარ ბიზნესის სკოლის სტუდენტი, გადავედი ბიზნესის ადმინისტრირების მეორე კურსზე. იმედი მაქვს, რომ აქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება დამეხმარება შევქმნა რაიმე ღირებული ბიზნეს სფეროში.

თავიდანვე ვიცოდი, რომ უნივერსიტეტთან ჩემი ურთიერთობა მხოლოდ ლექციებით არ შემოიფარგლებოდა და აუცილებლად მივიღებდი შიდა პროექტებში მონაწილეობას. როგორც ყველა სტუდენტს, მეც მაქვს სურვილი გაცვლითი პროგრამით მივიღო განათლება საზღვარგარეთ და სწორედ იმის გააზრებამ, რომ უცხო ქვეყანაში სრულიად მარტო ყოფნა და ახალ გარემოსთან ადაპტაცია საკმაოდ რთული პროცესია, გადამაწყვეტინა ელჩების პროგრამაში მონაწილეობის მიღება, რათა პირველ რიგში საკუთარ ქვეყანაში დავეხმარო საერთაშორისო სტუდენტებს ადაპტაციაში.

ძალიან მიყვარს საინტერესო ადგილების აღმოჩენა, მოგზაურობა და ახალი ადამიანების გაცნობა, რადგან მჯერა, რომ ცხოვრების თითოეულ ეტაპზე ადამიანები სწორედ ერთმანეთისგან ვსწავლობთ უამრავ ღირებულს, რაც გვეხმარება განვვითარდეთ როგორც ინდივიდები, ისე ერთიანი, ჯანსაღი საზოგადოება.

კავკასიის უნივერსიტეტის ელჩი
CAUCASUS UNIVERSITY
AMBASSADOR